



მიმდინარე წლის 20 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “კონფლიქტების მოგვარება – რეალობა და პერსპექტივები”.

კონფერენცია გახსნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა გვაზავამ, კოალიცია "სამართლიანობისათვის" პრეზიდენტმა ვერა ქობალიამ და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპიკერმა, პროფესორმა კახაბერ ლორიამ.

მოწვეულ სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ ხუთი სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა სექციური მუშაობები. სულ მუშაობდა თერთმეტი სექცია. სექციურ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას: ”სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით”. კონფერენციის ბოლოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ მონაწილე სტუდენტებს მადლობა გადაუხადა და გადასცა ფასიანი საჩუქრები და საპატიო დიპლომები.